# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №24
(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)
(საქონლის შესყიდვა)

გორი 05 აპრილი 2011 წელი

ერთის მხრივ, გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია (შემდგომში „შემსყიდველი"), სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორის ზურაბ არაიშვილის სახით და მეორეს მხრივ ი/მ ზაურ პოლისაანი, (შემდგომში „მიმწოდებელი") ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული მსუბუქი ავტომანქანის, მერსედეს ბენცი E-420-ის (FIF-202) სათადარიგო ნაწილების შეცვლა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

## 2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია:
2.2 „კარობკის" ზეთი რავენოლი 13 ლიტრი. ერთი ლიტრის ფასი 16 ლარი. სულ ფასი 208 ლარი.
2.3 ფილტრი ერთი ცალი. ღირებულება 42 ლარი.

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს – 250 (ორასორმოცდაათ) ლარს.
3.2. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 15 საბანკო დღეში.

## 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს „შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია გორი, სტალინის 16.
5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანხმლები დოკუმენტაციის წარდგენა „შემსყიდველისთვის", კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება "შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" მიერ, სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

## 7. ანგარიშსწორების ფორმა

7.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება ანაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
7.3. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება სტანდარტული გადახდით.
7.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, არა უმეტეს 15 საბანკო დღის ვადაში.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.3. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

- მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

- მიაწოდოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ, ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 30 [illegible].

## 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.
14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს ზურაბ ქრისტესიაშვილი – გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“, წუნდების მიზეზების მითითებით.
14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან ან ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის
მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის –
გუბერნატორის ადმინისტრაცია
ქ. გორი, სტალინის გამზ. 16
საქართველოს სახელმწიფო ხაზინა
ანგ. №200122900, კოდი №220101107
საიდენტიფ. კოდი №2[illegible]7889514
სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი

[illegible]რისტეშვილი

„მიმწოდებელი“

ი/მ ზაურ პოლოსიანი
ქ. გორის რაიონი სოფ. ვარიანი
ს/ს „ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია“ გორის ფილიალი
ანგ. №21563602
ბანკის კოდი (მფო) 220101602
საიდენტიფ. კოდი 59001011568

ი/მ ზ. პოლოსიანი

ზ. პოლოსიანი

ინვოისი

# ი/მ ზაურ პოღოსიანი

ტელ: 851 32 60 02 04. 04 2011 წ.

შემსყიდველი ორგანიზაცია:

გორის, კასპის ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებული- გუბერნატორის ადმინისტრაცია.

მისამართი: ქ. გორი სტალინის №16

| | მასალის დასახელება | მოდელი | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება | სულ ღირებულება | მანქანის ნომერი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | „კაროტკის" ზეთი | RAVENOL | 13 ლიტრი | 16 ლარი | 208 ლარი | FIF-202 | | |
| 2 | ფილტრი | | 1 ც | 42 | 42 | FIF-202 | | |
| 3 | | | | | | | | 250 ლარი |

საბანკო რეკვიზიტები:

ვითიბი ბანკი ჯორჯია (გორის ფილიალი)

ბანკის კოდი №220101602

საიდენტიფიკაციო კოდი 59001011568

ანგ. №21563602

ი/მ ზაურ პოღოსიანი